GÜRTİAD

HAFTALIK EKONOMİ BÜLTENİ

კვირის ეკონომიკური გამოცემა

2021 / 19 Şubat/თებერვალი

Nüfus / მოსახლეობა	GSYİH ($) / მშპ ($)	GSYH (büyüme) /მშპ	İşsizlik / უმუშევრობა	Enflasyon / ინფლაცია
3 716.9	4 696.2	5.0 %	17.6 %	2.8 %

Gürcistan Başbakanı Gakharia İstifa Etti
საქართველოს პრემიერ მინისტრი თანამდებობიდან გადადგა

Gürcistan Başbakanı Sayın Giorgi Gakharia istifa etmiştir. 18 Şubat 2021 tarihinde yaptığı basın açıklamada Sn. Gakharia istifa nedeni olarak ülkedeki ana muhalefet partisi Birleşik Ulusal Hareketi Başkanı Nika Melia'ya yönelik tutuklama kararı konusunda ekibiyle yaşadığı görüş ayrılıkları belirtmiştir. Gakharia, ülkede halihazırda siyasi gerginliklerin yaşandığını ve Melia'nın tutuklanması gerginliğin daha da artıracağını söyledi.

Gakharia'nın istifa etmesinin ardından İçişleri Bakanlığı kararını değiştirip Melia'nın tutuklanmasının geçici olarak ertelendiğini duyurdu.

Belirtilen gelişmelerin ardından ülkenin iktidarı Gürcü Hayali partisinde yeni başbakan adayının belirlenmesi için siyasi konseyi toplantısı düzenlendi. Toplantının ardından basın açıklamasını yapan parti lideri İrakli Kobakhidze, eskide Başbakanı görevinde bulunan ve Savunma Bakanı olarak görev yapan İrakli Garibaşvili'yi başbakan adayı olarak belirlediklerini duyurdu.

2020 წლის 18 თებერვალს საქართველოს პერმიერ მინისტრმა გიორგი გახარიამ თანამდებობა დატოვა. გამართულ პრესკონფერენციაში პრემიერმა თანამდებობის დატოვების მიზეზად მთავარი ოპოზიციური პარტიის ნაციონალური მოძრაობის თავმჯდომარის, ნიკა მელიას დაკავების საკითხთან დაკავშირებით გუნდთან არსებული აზრთა განსხვავებულობა დაასახელა. მისი განმარტებით ქვეყანაში ისედაც არსებულ დაძაბულ პოლიტიკურ ფონს მელიას დაპატიმრება კიდევ უფრო მეტად გაამძაფრებდა. გახარიას გადადგომის შემდეგ შინაგან საქმეთა სამინისტრომ გადაწყვეტილება შეცვალა და მელიას დაკავების პროცესის გადადების შესახებ განცხადება გაავრცელა.

აღნიშნულის პარალელურად ქვეყნის სათავეში მყოფმა მმართველმა პარტია ქართულმა ოცნებამ პოლიტიკური საბჭოს კრების გამართვის შემდეგ პრემიერ მინისტრობის კანდიდატად ყოფილი პრემიერ მინისტრის და მოქმედი თავდაცვის მინისტრის, ირაკლი ღარიბაშვილის წარდგენა მოხდა.

AK YIL ZEMİN · ARKAS GEORGIA LLC · Ermed GEORGIA · İŞBANK · KOÇ · KABLO · LC WAIKIKI · ნაბეღლავი · MAQRO CONSTRUCTION · nurol · ŞİŞECAM · TAV Airports · Ziraat Bankası

Gakharia Döneminde Gürcistan Ekonomi

საქართველოს ეკონომიკა გახარიას მთავრობის პერიოდში

Giorgi Gakharia, Eylül 2019'dan bu yana 1 yıl 5 ay boyunca Başbakan görevi yapmaktaydı. Belirtile süre özellikle de 2020 yılı eşi görülmemiş bir krize denk geldi. COVID-19 ve kısıtlamaların bir sonucu olarak ülke ekonomisi rekor oranı ile %6.1 azaldı.

Giorgi Gakhria, 2016-2017'de Ekonomi Bakanın görevini üstlendi. Bu dönemde Gürcistan bölgesel döviz şoktan çıkıp %4,8 ekonomik büyüme gösterdi. 2018-2019 döneminde doğrudan yabancı yatırım hacminin 1.3 milyara kadar düşmesine rağmen (2014-2017'de bu rakam 1,8 milyar dolar olmuştur), Ekonomik büyüme oranı %5 olarak gerçekledi. 2020'nin 3. çeyreği itibarıyla doğrudan yabancı yatırımlar %24 oranında azaldı. Bu zorluklar nedeniyle, ulusal para birimi 2020'de %14 değeri kaybetti. Gürcistan Merkez Bankası, lari değerinin koruması için 800 milyon dolardan daha fazla döviz müdahalesi gerçekleştirdi.

Uluslararası finans kuruluşlarına göre, Gürcistan ekonomisi 2021'de %4 büyütecek. Ekonominin canlandırılması, turizmin sektörü ve aşılama sürecine bağlı olacaktır.

გიორგი გახარია საქართველოს მინისტრთა კაბინეტს 2019 წლის სექტემბრის შემდგომ, 1 წლისა და 5 თვის განმავლობაში მართავდა. მისი მმართველობა, განსაკუთრებით კი 2020 წელი უპრეცედენტო კრიზისს დაემთხვა. COVID-19-ის და ორი ლოქდაუნის ფონზე საქართველოს ეკონომიკა რეკორდულად - 6.1%-ით შემცირდა.

გიორგი გახრია 2016-2017 წლებში ეკონომიკის მინისტრის პოსტს იკავებდა. ამ პერიოდში საქართველო რეგიონული სავალუტო შოკიდან გამოდიოდა და მას 4.8%-იანი ეკონომიკური ზრდა ჰქონდა. 2018-2019 წლებში, მიუხედავად იმისა, რომ პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოცულობა 1.3 მილიარდამდე შემცირდა (2014 – 2017 წლებში ეს მონაცემი 1.8 მილიარდს უტოლდებოდა), ეკონომიკური ზრდის მაჩვენებელმა 5% შეადგინა. 2020 წლის 3 კვარტლის მდგომარეობით კი პირდაპირი უცხოური ინვესტიციები დამატებით 24%-ით შემცირდა. აღნიშნული სირთულეების გამო 2020 წელს ეროვნული ვალუტა 14%-ით გაუფასურდა. საქართველოს ეროვნულმა ბანკმა ლარის სიმყარის შენარჩუნებისთვის $800 მილიონ დოლარზე მეტი მოცულობის სავალუტო ინტერვენციები განახორციელა.

საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების შეფასებით 2021 წელს ქვეყნის ეკონომიკა 4%-ით გაიზრდება. ეკონომიკის აღდგენა ტურიზმის აღდგენასა და ვაქცინაციის პროცესზე იქნება დამოკიდებული.

AK YIL ZEMIN ARKAS GEORGIA LLC EM Ermed GEORGIA İŞBANK KOÇ KABLO LC WAIKIKI ნაბახტარი MAQRO CONSTRUCTION nurol ŞİŞECAM TAV Airports Ziraat Bankası

Yasa Değişikliği
საკანონმდებლო ცვლილება

Ülkedeki mevcut zor ekonomik durumu göz önüne bulundurarak hükümet, iş dünyasının desteklemek ve teşvik sağlamak için vergi kanununda değişiklikler yapmaya devam ediyor. Değişiklikler hakkındaki makale her iki dilde "Nodia, Urumashvili & Partners" www.nplaw.ge şirket tarafından hazırlanmıştır. GÜRTİAD, "Nodia, Urumashvili & Partners" şirketine işbirliği içi şükranları sunuyor.

ქვეყანაში შექმნილი რთული ეკონომიკური მდგომარეობის გათვალისწინებით, ხელისუფლება აგრძელებს ბიზნესის მხარდაჭერის კუთხით შეღავათების დაწესებას და საგადასახადო კოდექსში ცვლილებების შეტანას. ცვლილებებთან დაკავშირებული ორენოვანი სტატია მოამზადა ასოციაციის წევრმა „ნოდია, ურუმაშვილი და პარტნიორები" www.nplaw.ge ასოციაცია გულითად მადლობას უხდის თანამშრომლობისთვის კომპანიას „ნოდია, ურუმაშვილი და პარტნიორები" და გთავაზობთ მომზადებულ მასალას.

12 Şubat 2021'de, Gürcistan'ın İşgal Altındaki Topraklardan Ülke İçinde Yerinden Edilmiş Kişiler, Çalışma, Sağlık ve Sosyal İşler Bakanı, "Çalışma Saatinin Kayıt Şeklinin ve Uygulama Kurallarının Onaylanması Üzerine" Emir vermiştir. Söz konusu Emir 1 Mart 2021'de yürürlüğe girecektir. Söz konusu Emir ile, çalışma süresi formu, doldurma ve uygulama prosedürleri belirlenmiştir. Bu kurala göre, çalışma saatinin kaydı, Gürcistan İş Kanunu ile belirlenmiş (gerçek veya tüzel kişi ve / veya kişiler birliği) İşveren tarafından uygulanması zorunludur. İş organizasyonunun özellikleri nedeniyle imkansız olmadığı sürece, İşveren, çalışma saatini yazılı ve / veya elektronik olarak kayıt altına almak ve çalışma saatinin (çalışma saatleri) aylık kayıt belgesini personele tanıtmakla yükümlüdür. Belirtilen form aşağıdaki gibidir.

2021 წლის 12 თებერვალს საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრმა მიიღო ბრძანება „სამუშაო დროის აღრიცხვის ფორმისა და მისი წარმოების წესის დამტკიცების თაობაზე", რომელიც ამოქმედდება 2021 წლის 1 მარტიდან. აღნიშნული ბრძანებით განისაზღვრა სამუშაო დროის აღრიცხვის ფორმის კომპონენტები, შევსებისა და წარმოების პროცედურები. სამუშაო დროის აღრიცხვა, აღნიშნული წესის შესაბამისად, სავალდებულოა საქართველოს შრომის კოდექსით გათვალისწინებული დამსაქმებლებისთვის (ფიზიკური ან იურიდიული პირი ან/და პირთა გაერთიანება). დამსაქმებელი ვალდებულია სამუშაო დღეს წერილობით ან/და ელექტრონულად აღრიცხოს დასაქმებულთა მიერ ნამუშევარი დრო და სამუშაო დროის (ნამუშევარი საათების) აღრიცხვის ყოველთვიური დოკუმენტი გააცნოს დასაქმებულს, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც, სამუშაოს ორგანიზების სპეციფიკიდან გამომდინარე, ეს შეუძლებელია. აღნიშნული ფორმა შეგიძლიათ იხილოთ დანართის სახით.

დ ა ნ ა რ თ ი N 2

ს ა მ უ შ ა ო დ რ ო ი ს ა ღ რ ი ც ხ ვ ი ს ფ ო რ მ ა

ორგანიზაციის დასახელება

სტრუქტურული ერთეული

საიდენტიფიკაციო კოდი	

შედგენის თარიღი

საანგარიშო პერიოდი	
-დან	-მდე

| რიგითი N | გვარი, სახელი, თანამდებობა (სპეციალობა, პროფესია) | ტაბელის ნომერი/ პირადი ნომერი | აღნიშვნები სამუშაოზე გამოცხადების/არგამოცხადების შესახებ თარიღების მიხედვით თვის განმავლობაში | | |

İş Derneklerin Basın Toplantısı
ბიზნეს ასოციაციების პრეს კონფერენცია

17 Şubat 2021'de Gürcistan'da faaliyet gösteren iş dernekler, hükümetin ekonomik krize karşı değişikliklerin ve belli adımların atılması talep ettiler. Ortak basın toplantısına aşağıdaki on iş dernek katılmıştır: Dağ Tesisleri Derneği, Gürcistan Restoranlar Derneği, Gürcistan Gastronomi Derneği, Gürcistan Perakendeciler Derneği, Gürcistan Distribütörler Derneği, Gürcistan Vergi Mükellefleri Birliği, Gürcistan Üreticiler Federasyonu, Gürcistan Alışveriş Merkezleri Derneği, Gürcistan Yol ve Ulaşım Derneği. Dernekler hükümete altı ana talepte bulundu:

1. "Sokağa çıkma yasağı" başlangıç saatinin 2 saat ertelenmesi. Söz konusu kısıtlamanın 21:00 yerine 23:00 itibariyle yürürlüğe girilmesi.
2. Hafta içi çalışmasına izin verilen iş sektörleri için hafta sonu çalışma kısıtlamalarının kaldırılması.
3. Sektör özellikleri dikkate alarak krize karşı paketlerin geliştirilmesi. Örnek olarak 2021'de alışveriş merkezlerinin emlak vergisinden muaf tutulması.
4. 22 Şubat'tan itibaren ilgili düzenlemelere tabi olarak yemek tesislerine kapalı alanda çalışma hakkı verilmesi.
5. 22 Şubat'tan itibaren dağ tesislerinin açılması.
6. Gürcistan İş Ombudsmanın, iş sektörüyle doğrudan istişare ve katılımıyla seçilmesi ve atanması. Dernek temsilciler, ombudsman ofisinin iş dünyası tarafından finanse edilmesini içeren modelin geliştirilmesine hazır olduklarını belirttiler.
7. Basın toplantısına katılanlar, ilgili iş bağlantılarını ve finans kaynakları kullanarak Gürcistan'da aşı ithalatı ve aşılama sürecine dahil olmaya hazır olduklarını ifade ettiler.

2021 წლის 17 თებერვალს საქართველოში მოქმედმა ათმა ბიზნეს ასოციაციამ ეკონომიკური კრიზისის გამო მთავრობას ცვლილებების გატარება მოსთხოვა. ერთობლივ პრესკონფერენციას აღნიშნული ბიზნეს ასოციაციების ხელმძღვანელები ესწრებოდნენ:

მთის კურორტების ბიზნეს ასოციაცია, საქართველოს რესტორატორთა ასოციაცია, საქართველოს გასტრონომიის ასოციაცია, საქართველოს რითეილერთა ასოციაცია, საქართველოს დისტრიბუტორთა ასოციაცია, საქართველოს გადასახადის გადამხდელთა კავშირი, საქართველოს მწარმოებელთა ფედერაცია, საქართველოს სავაჭრო ცენტრების ასოციაცია, საქართველოს ტრანსპორტისა და გზების ასოციაცია. ასოციაციებმა მთავრობას ექვსი ძირითადი მოთხოვნა წარუდგინეს:

1. „კომენდანტის საათის“ დაწყების ვადის გადაწევა 2 საათით. ნაცვლად 21:00 საათისა, აღნიშნული შეზღუდვა ძალაში შევიდეს 23:00-დან.

2. შაბათ-კვირას მუშაობის შეზღუდვის მოხსნა იმ ბიზნეს სექტორებისთვის, რომელთა მუშაობაც ნებადართულია სამუშაო დღეებში.

3. კონკრეტული ანტიკრიზისული პაკეტების დამუშავება დარგობრივი სპეციფიკის გათვალისწინებით. მაგალითად, სავაჭრო ცენტრების გათავისუფლება 2021 წლის ქონების გადასახადისგან.

4. 22 თებერვლიდან სარესტორნო/კვების ბიზნესისთვის დახურულ სივრცეებში მუშაობის უფლების მიცემა, შესაბამისი მკაცრი რეგულაციის პირობებში.

5. მთის კურორტების გახსნა 22 თებერვლიდან.

6. საქართველოს ბიზნეს ომბუდსმენის არჩევა და დანიშვნა მოხდეს, ბიზნეს სექტორთან პირდაპირი კონსულტაციით და უშუალო მონაწილეობით. ბიზნეს სექტორის წარმომადგენლებმა აღნიშნეს, რომ მზად არიან მონაწილეობა მიიღონ შესაბამისი მოდელის დამუშავებაში, რაც ასევე გულისხმობს ომბუდსმენის აპარატის საქმიანობის დაფინანსებას ბიზნეს სექტორიდან.

7. პრესკონფერენციაში მონაწილეებმა გამოხატეს მზაობა, ჩაერთონ საქართველოში ვაქცინის შემოტანის და სწრაფი ვაქცინაციის პროცესში შესაბამისი ბიზნეს კონტაქტების და ფინანსური რესურსის მოძიება-გამოყენებით.

Gürcistan'ın Dış Ticareti 2021 Ocak
საქართველოს საგარეო ვაჭრობა 2021 წ. იანვარი

2021 yılında Gürcistan'ın dış ticaret cirosu 762.5 milyon ABD doları teşkil etmiştir ve bu rakam bir önceki yılın aynı verilerine kıyasla %16.5 ile daha azdır. İhracat 224.4 milyon ABD dolar (düşüş oranı %16.2), ithalat ise – 538.1 milyon ABD doları (düşüş oranı %16.6) olmuştur. Ocak 2021'de yılında negatif ticaret bilançosu 313 milyon dolara ulaşarak dış ticaret cirosunun % 41.1 teşkil etmiştir.

2021 წელს საქართველოში საქონლით საგარეო სავაჭრო ბრუნვამ 762.5 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა, რაც წინა წლის შესაბამის მაჩვენებელზე 16.5 პროცენტით ნაკლებია. აქედან ექსპორტი 224.4 მლნ. აშშ დოლარს შეადგენს (16.2 პროცენტით ნაკლებია), ხოლო იმპორტი 538.1 მლნ. აშშ დოლარს (16.6 პროცენტით ნაკლებია). საქართველოს უარყოფითმა სავაჭრო ბალანსმა 2021 წლის იანვარში, 313.6 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა, რაც საგარეო სავაჭრო ბრუნვის 41.1 პროცენტია.

Dış Ticaret Göstergeleri 2016-2021
საგარეო ვაჭრობის მაჩვენებლები 2016-2021 წწ.



2021 yılında Gürcistan'ın toplam dış ticaret cirosunda en büyük on ticaret ortağının payı %76.3 olarak teşkil etmiştir. En büyük ticaret ortakları şunlardır: Çin (126,4 mln $), Türkiye (114,3 mln $), Azerbaycan (86,1 mln $), Rusya (78.3 mln $), ABD (39.7 mln $), Ukrayna (36.8 mln $), Bulgaristan (33 mln $), Almanya (25.2 mln $), Ermenistan (23.9 mln $), İtalya (18 mln $).

2021 წელს ათი უმსხვილესი სავაჭრო პარტნიორი ქვეყნის წილმა საქართველოს მთლიან საგარეო სავაჭრო ბრუნვაში 76.3 პროცენტი შეადგინა. ქვეყნის უმსხვილესი სავაჭრო პარტნიორები არიან: ჩინეთი (126,4 მლნ $), თურქეთი (114,3 მლნ $), აზერბაიჯანი (86,1 მლნ $), რუსეთი (78.3 მლნ $), აშშ (39.7 მლნ $), უკრაინა (36.8 მლნ $), ბულგარეთი (33 მლნ $), გერმანია (25.2 მლნ $), სომხეთი (23.9 მლნ $), იტალია (18 მლნ $).

2020 Yılında En Büyük On Ticaret Ortağı



2021 yılında Gürcistan'ın toplam ithalatında en büyük on ticaret ortağının payı %75.9 olarak teşkil etmiştir. En büyük ticaret ortakları şunlardır: Çin (99.6 mln $), Türkiye (92.9 mln $) ve Rusya (55.6 mln $).

2021 წელს ათი უმსხვილესი საიმპორტო პარტნიორი ქვეყნის წილმა საქართველოს მთლიან იმპორტში 75.9 პროცენტი შეადგინა. პირველ სამეულში შედის: ჩინეთი (99.6 მლნ. აშშ დოლარი), თურქეთი (92.9 მლნ. აშშ დოლარი) და რუსეთი (55.6 მლნ. აშშ დოლარი).

2021 yılında Gürcistan'ın toplam ihracatında en büyük on ticaret ortağının payı %80.8 olarak teşkil etmiştir. En büyük ihracat üçlüsü şu şekildeydi: Azerbaycan (34.4 mln $), Bulgaristan (27.0 mln $) ve Çin (26.9 mln $).

2021 წელს ათი უმსხვილესი საექსპორტო ქვეყნის წილმა საქართველოს მთლიან ექსპორტში 80.8 პროცენტი შეადგინა. უმსხვილესი საექსპორტო სამეული შემდეგნაირად ჩამოყალიბდა: აზერბაიჯანი (34.4 მლნ. აშშ $), ბულგარეთი (27.0 მლნ. აშშ $) და ჩინეთი (26.9 მლნ. აშშ $).

Korona Virüs

კორონა ვირუსი

Gürcistan'da doğrulanmış korona virüs vakalarının sayısının düşüş eğilimi devam ediyor. Bu hafta içerisinde doğrulanmış vaka sayısı 3036'e ulaştı (ortalama: 433 kişi/gün). Tespit edilen vaka sayıları ile Tiflis bölgesi tekrar ön sıradadır.

Son istatistik verilerine göre Gürcistan'da doğrulanmış korona virüs vakalarının toplam sayısı 267 313'e ulaştı. Can Kaybı – 3 399, iyileşenlerin sayısı – 260 266, aktif vaka ise – 3648. Halihazırda hastanelerde 1813, otellerde ise 232 kişi tedavi görüyor, 253 kişi ise karantinadadır. Son verilere göre ülke çapında 2 513 088 test yapıldı.

Dünya çapında ise korona virüs vakalarının sayısı 110 milyona aşmıştır. Worldometers'e dayanarak, vakaların sayısı – 110 841 374, Can Kaybı – 2 452 625, iyileşen kişi sayısı – 85 791 698. En çok vaka sayısı ABD, Hindistan, Brezilya, Rusya ve İngiltere'de görülmüştür.

ბოლო კვირის განმავლობაში საქართველოში კორონა ვირუსის დადასტურებული შემთხვევების რაოდენობის კლების ტენდენცია გრძელდება. მიმდინარე კვირას დადასტურებულ შემთხვევათა რაოდენობა 3036-ს უტოლდება (433 კაცი საშუალოდ დღეში). ინფიცირების მაღალი მაჩვენებლებით ისევ დედაქალაქი გამოირჩევა.

საბოლოო სტატისტიკური მონაცემების თანახმად კორონა ვირუსით ინფიცირებულთა რიცხვმა საქართველოში 267 313 შეადგინა. აქედან გარდაიცვალა 3 399, გამოჯანმრთელდა 260 266 , ხოლო 3 648 აქტიური შემთხვევაა, რომელთაგანაც 1813 სტაციონარული მეთვალყურეობის ქვეშ იმყოფება, 232 პაციენტი კი სასტუმროში გადის მკურნალობას. კარანტინის რეჟიმშია 253 ადამიანი. ქვეყნის მასშტაბით ჯამურად 2 513 088 ტესტი გაკეთდა.

კორონა ვირუსით ინფიცირებულთა რიცხვმა მსოფლიოს მასშტაბით, ბოლო სტატისტიკური მონაცემებით 110 მილიონს გადააჭარბა. Worldometers-ის ცნობით, ჯამში, ახალი ვირუსით 110 841 374 ადამიანი დაინფიცირდა, გარდაიცვალა 2 452 625, ხოლო გამოჯანმრთელდა 85 791 698 პირი. ყველაზე მეტი ინფიცირებული აშშ-ს, ინდოეთს, ბრაზილიას, რუსეთსა და დიდ ბრიტანეთს ჰყავს.

AK YIL ZEMIN ARKAS GEORGIA LLC EM Ermed GEORGIA İŞBANK KOÇ KABLO LC WAIKIKI ნაბახტარი MAQRO CONSTRUCTION nurol ŞİŞECAM TAV Airports Ziraat Bankası

Resmi Kur Göstergeleri / ოფიციალური გაცვლითი კურსი

GEL/USD – 3.3021 TRY/GEL – 0.4754 EUR/GEL – 3.9837 GBP/GEL – 4.5988

USD/GEL

12 – 19 Şubat 2021

USD/TRY

12 – 19 Şubat 2021

TRY/GEL

12 – 19 Şubat 2021

ALTIN – 57, 822.88 kg/usd

12 – 19 Şubat 2021